საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგიტსატირის თეატრი

აგიტსატირის თეატრი, საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაარსებული პირველი თეატრი (რუს. და ქართ. დასი).

გაიხსნა 1921 ახლანდ. თბილ. პანტომიმის სახელმწ. თეატრის შენობაში (რუს. დასის პირველი წარმოდგენა შედგა 14 აპრილს, ქართულის – 4 მაისს). თეატრის რეპერტუარში შედიოდა რევ. შინაარსის სააგიტაციო და სატირული ნაწარმოებები. ქართ. დასის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მ. ჭიაურელი, რეჟისორები – ვ. გუნია და ა. წუწუნავა, მსახიობები – ტ. აბაშიძე, ი. ზარდალიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ვ. გუნია და სხვ. რუს. დასის რეჟისორები იყვნენ ვ. ბრიანსკი და ვ. ვოლსკი, *სალიტ.* ნაწილის გამგე – ს. ბოგდატიევი, მუს. ნაწილისა – დ. არაყიშვილი, მხატვარი – ნ. ანდრეევი.

თეატრმა მუშაობა შეწყვიტა 1921 ზაფხულში.

შ. ცუცქირიძე